

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი**



2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი

2020

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის დირექტორის 2019 წლის N50 ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო შემდეგი მიზნების განხორციელება:

- კოლეჯის შემოქმედებითი ჯგუფის შექმნა, რომლის მიერ ვიდეო პროდუქციის წარმოებაში ჩართულ პირთა მინიმუმ 80% პროფესიული სტუდენტები იქნება;
- მოტივირებული და ინფორმირებული აპლიკანტების მოზიდვის მიზნით PR აქტივობების განხორციელება;
- კოლეჯის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება;
- კოლეჯის ინტერნეტმაუწყებლობის განვითარებისთვის ახალი და ფუნქციონირებადი ვებ-პორტალის შექმნა;
- სხვადასხვა ფორმატის მოკლევადიანი კურსების განხორციელება;
- კოლეჯის გაფართოება;

2019 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

-კოლეჯის ბაზაზე შეიქმნა შემოქმედებითი ჯგუფი, რისთვისაც განახლდა კოლეჯის სტრუქტურა და სამტატო განრიგი, შეირჩა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები;

-შემოქმედებითი ჯგუფის მიერ განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- პროფესიული სტუდენტებიდან შეირჩა აქტიური სტუდენტები, რომლებიც ჩაერთვნენ კოლეჯის საიმიჯო ვიდეორგოლის მომზადებაში;
- პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება განხორციელდა პროექტის - „საუბრები მომავალზე“ - ფარგლებში;
- კოლეჯის სტუდენტების მონაწილეობით გაიმართა ტელეხიდი (პირდაპირი ეთერი) ამერიკულ სკოლასთან German Town High School. ამავე გადაცემისთვის სიუჟეტები მომზადდა კოლეჯის სტუდენტების ჩართულობით.
- მომზადდა დოკუმენტური ფილმები: „პროფესიული განათლება 1918-1920 წლებში“ და „პროფესიული განათლება დღეს“;
- კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირისა და საქართველოს მთავრობის მიერ პროფესიული განათლებისა და დასაქმების სექტორების მხარდასაჭერად დაგეგმილ ღონისძიებაში, სადაც წარმოადგინა საგამოფენო სტენდი, ღონისძიებაში ჩართული იყვნენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტები;
- მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის 30 წლისთავისთვის მომზადდა საიუბილეო დოკუმენტური ფილმი;
- შემოქმედებითმა ჯგუფმა უზრუნველყო ქართულ-გერმანული პროფესიული განათლების დღეების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიების პირდაპირი ეთერი კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით;
- სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის დასასრულს განხორციელდა შემაჯამებელი თოქ-შოუ სკოლის მოსწავლეების და კოლეჯის სტუდენტების მონაწილეობით.

- საქართველოს ფერმერთა ასოციაციისთვის კოლეჯის სტუდენტების ჩართულობით მომზადდა ოთხი დოკუმენტური ფილმი სხვადასხვა პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით;

- სტუდენტური ინტერნეტმაუწყებლობისთვის მიმდინარეობს რუბრიკების მომზადება;

- სოციალურ ქსელებში კოლეჯის გვერდების გააქტიურების მიზნით, განისაზღვრა განსათავსებელი კონტენტი, მომზადდა და აიტვირთა მასალები.

-სოციალური ქსელებში განთავსდა შემდეგი მასალა:

- კოლეჯის დირექტორის პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრის და მასტერკლასების სერთიფიკატების გადაცემის ფოტომასალა;
- კიევის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმების შესახებ ინფორმაცია;
- ფოტოგრაფიის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრის მასალები;
- ევროკავშირის მიერ ახალგაზრდების გადამზადებისა და დასაქმების პროექტის (skills4jobs) მეორე ეტაპის საპრეზენტაციო ღონისძიების ფარგლებში კოლეჯის მიერ მოწყობილ ვირტუალურ სივრცეში დამთავლიერებლებისთვის გადაღებული ფოტომასალა;
- ინფორმაცია ფოტოგრაფიის პროგრამის კურსდამთავრებულთა ნამუშევრების მოწვეული ფოტოგრაფების (ირინე აბუანდაძე, გურამ წიბახაშვილი) მიერ შეფასების შესახებ;
- კოლეჯის 30 წლის იუბილის აღსანიშნავი ღონისძიების და მასტერკლასების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა;
- კოლეჯის მხარდაჭერით ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში წინასააღდგომო გამოფენა-კონცერტის ფოტომასალა;
- ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოსთან, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან, საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციასთან, ფორმულა კრეატივთან , საზოგადოებრივ მაუწყებელთან მემორანდუმების გაფორმების შესახებ ინფორმაცია;
- დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნის ამსახველი ფოტომასალა;

რეგულარულად მიმდინარეობს კომუნიკაცია დაინტერესებულ პირებთან სოციალური ქსელების გამოყენებით;

- მოტივირებული და ინფორმირებული აპლიკანტების მოზიდვის მიზნით მოკლევადიანი პროგრამების შესახებ მომზადდა ვიზუალური მასალა და რეკლამა, რომლებიც განთავსდა სოციალურ ქსელებში.

- კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით პრეზენტაცია ჩატარდა თბილისში არსებულ საჯარო სკოლებში (თბილისის 54-ე, 192-ე,161-ე, 165-ე, სკოლა, 61-ე, 60-ე, 169-ე, 140-ე, 147-ე, 129-ე, 9-ე, 113-ე, 49-ე, 63-ე, 24-ე, 23-ე, 21-ე, 51-ე, 47-ე და 96-ე საჯარო სკოლები, თბილისის პირველი

ექსპერიმენტული საჯარო სკოლა და პირველი კლასიკური გიმნაზია). გაცნობითი ხასიათის შეხვედრები მოიცავდა კოლეჯის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას პოტენციური სტუდენტებისთვის (12-ე კლასელებისთვის).

- პროფესიულ სტუდენტებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით კოლეჯში შეხვედრები გამართეს ტელეწამყვანებმა/ჟურნალისტებმა თორნიკე კვერენჩხილაძემ, იმედა დარსალიამ და დავით კაკულიამ; ფოტოგრაფებმა გიორგი ცაავამ, გოგა ჩანადირმა და მარინა კარპმა.

-კოლეჯის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა მასტერკლასები:

- ია მურმიშვილი- თემა: პოლიტიკური ინტერვიუ;
- ირაკლი იმნაიშვილი- თემა: თანამედროვე მედიის გამოწვევები;
- მარჩინ მალატინსკი- თემა: კინონაბეჭდები, პროდიუსინგი კინოში, როგორ გადავიღოთ დაბალბიუჯეტიანი ფილმი;
- ანდრეი ვოლფი - თემა: წარმოსახვითი ხელოვნება- ლინზების გამოყენება , ფოკუსის სიგრძის გავლენა ხელოვნებაზე 14 დან 150 მმ განათება სივცრცის შექმნის ტექნიკა;
- იერჟი გაველი- თემა: მოდის ფოტოგრაფია;
- ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი- თემა: ფილმის ჩვენება და განხილვა;
- ლეონიდ მაზორი- თემა: მცირეფორმატიანი ციფრული მაუწყებლობა (მასტერკლასი ჩატარდა როგორც კოლეჯის ადმინისტრაციისთვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის);

-სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში კოლეჯმა განახორციელა პროგრამები თბილისის 23-ე და 24-ე საჯარო სკოლებში;

-მომზადებული და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადასტურებულია პროფესიული მომზადების ექვსი პროგრამა:

- ვიდუო მემონტაჟე-გრაფიკოსი
- დოკუმენტური ფილმების ავტორ-ოპერატორი
- ვიდუომემონტაჟე
- ტელევიზიის წამყვანი
- ფოტოგრაფიის პრაქტიკული კურსი
- ფოტორედაქტირება

-კოლეჯის გაფართოების მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან წარმატებით დასრულდა მოლაპარაკება კოლეჯისთვის „განათლების ქალაქში“ სასწავლო ფართის მშენებლობის შესახებ.